იაფ-ფასიანი სახალხო და საყმაწვილო ბიბლიოთეკა, № 1.

ბუდა

და

მისი სწავლა ცხოვრება-სიცოცხლეზედ.

ბუნებრივი რჯული.

ივ. როსტომაშვილის მიერ.



ბევრი ბრძენი და მოაზრე მოჰ-ვლენია კაცობრიობას თვისს ხანგძლივ ცხოვრებაში, მაგრამ **განათლებული ბუდა უდიდესია.**

თბილისი.

მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ვ. ქუთათელაძისა, ნიკ. ქ., № 21.

1905

Дозволено цензурою. г. Тифлисъ, 13-го Марта 1905 г.

ბუდა

და

მისი სწავლა ცხოვრება-სიცოცხლეზედა.

I.

ძნელათ მოიპოვება დედა-მიწის ზურგზედ ისეთი ნაყოფიერი ქვეყანა, როგორიც არის ინდოეთი. ცა იქ მუდამ კრიალა-ლურჯია და მხოლოდ ზოგჯერ, როცა ზღვის პირიდამ დაუბერავს ძლიერი ქარი, წამოვა შხაპუნა წვიმა და სწრაფათ ააბიბინებს ქვეყანას მწვანითა. ინდუსებმა არ იციან რა არის ზამთარი: თოვლს ისინი ჰხედავენ მარტო თავიანთ მაღალ მთებზედ, რომლებიც თვალ-აუწვდენ კედელსავით აჰყუდებია ინდოეთს ჩრდილოეთიდამ და არ უშვებენ მისკენ ჩრდილოეთის ცივ ქარებსა. ამ მთებს ინდუსები ეძახიან გიმალაის, რომელიც ნიშნავს თოვლთა სადგომს. გიმალაის მთები უდიდესია მთელ დედა-მიწის ზურგზედ და ისეთი მაღლებია (ათ ვერსამდის აქვთ სიმაღლე), რომ ჰაერის სიმჩატის გამო ფრინველიც კი ვერა ფრინავს იქა. სულ სხვაა ბარში: რადგანაც ინდოეთში ზამთარი სულ არ იცის, იქაური მიწა ორჯელ და სამჯერ იძლევა მოსავალს წელიწადში და არც სადმე მოიპოვება მთელ დედამიწის ზურგზედ იმდენ-ნაირი მცენარე, როგორც ინდოეთში. იქაური ხალხი სთე-

სავს ბრინჯსა, ბამბასა, ყოველ-გვარ პურსა, შაქრის ლერწამსა... იქაურს ტყეებსა და ბაღებში იზრდება ინდის-ხურმა, ლეღვი, ჩაი, პურის-ხე და სხვა... მთებში მოიპოვება ძვირფასი ქვები და რიყეებზე ოქრო. არც ნადირებია იქ ჩვენებური: სპილოები, ვეფხვები, ლომები, მაიმუნები და ორ-სამ საჟენიანი, მკლავის სისხო გველები, აი ინდოეთის ცხოველები.

ინდოეთში სცხოვრობს ორ-ნაირი ხალხი: ერთს ეწოდება არია, რომელიც ნიშნავს კეთილ-შობილს და მეორეს სუდრა, რომელიც ნიშნავს მონას. პირველ ხანებში ინდოეთში ცხოვრობდნენ მარტო სუდრები, მაგრამ ათასი წლის წინათ ქრისტეს შობამდე, მოვიდნენ იქ ჩრდილოეთიდამ არიები, დაიპყრეს სუდრები, და გაიხადეს ესენი თავის მონებად. არიებმა ააშენეს იქ ბევრი მდიდარი ქალაქები, შეამუშავეს მინდვრები, გატეხეს გაუვალი ტყეები, ამოწყვიტეს მავნებელი ნადირები, გაიყვანეს გზები, არხები და გააჩაღეს ვაჭრობა მეზობელ და შორეულ სახელმწიფოებთან, მაგრამ ყველა ამით ხალხს მაინც კარგათ ვერ ეცხოვრობოდა. ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ არიები იყვნენ ბატონები და სუდრები კი მონები; არიები ცხოვრობდნენ ბატონურად, სუდრები კი მთელს თავიანთ სიცოცხლეს მხოლოდ ბატონების სამსახურსა და მუშაობაში ატარებდნენ. მეფეები, დიდებულნი და მოქალაქენი აშენებდნენ ქალაქებში და აგარაკებში

თვალ-წარმტაც სრა-პალატებსა, ჰრთავდნენ მათ ათა-სნაირის ჩუქურთმებითა და ავსებდნენ ოქროსი და ვერცხლის ჭურჭლეულითა, იშვიათის იარაღებითა, ორხუებითა, ქსოვილებითა... და უბრალო ხალხი კი სიღარიბესა და მძიმე მუშაობაში ჰლაფავდა სულსა.

ასე და ამ გვარად ცხოვრობდნენ ინდუსები. მაგრამ აი დაიბადა ამათში კაცი, რომელმაც სულ სხვა გვარი ცხოვრება ასწავლა მათ. ეს იყო მეფის ძე სიდარტა, რომელსაც ინდუსებმა დაარქვეს ბუდდა, რაიცა ნიშნავს ნათელ-მიღებულს ბრძენსა.

ინდოეთში არის უშველებელი მდინარე განგი; გამოდის იგი გიმალაის მთებიდამ და ერთვის ინდოეთის ოკეანეს. უწინ ამ მდინარის სათავეში იყო ერთი პატარა სამეფო, სადაც, 623 წელს ქრისტეს შობამდე, მეფობდა ბრძენი და კეთილი მეფე სუდოდანი. სუდოდანს ჰყვანდა ცოლად მშვენიერი მაია, რომელმაც უშვა მეფეს ძე სიდარტა, მაგრამ თითონ დედოფალი კი გარდაიცვალა მშობიაობის ავათმყოფობისაგან. შვილის დაბადების წინათ, მეფე სუდოდანმა მოუწოდა მსწავლულ მოგვებს და ჰკითხა: „მითხარით, რა გაუჩნდება დედოფალსაო“? მოგვებმა მიუგეს: „დედოფალს გაუჩნდება იშვიათი ყმაწვილი; თუ იგი მამის სახლში დარჩება, ძლიერი და სახელოვანი მეფე იქნებაო; ხოლო, თუ უდაბნოში წავა განდეგილად, გახდება ნათელ-ღებულ ბრძენად და სწავლა მისი ვანანათლებს მთელს აზიასაო“.

მამას იამა ასეთი შვილის ყოლა, რადგანაც მას ძლიერ აწუხებდნენ მეზობელი მეფეები და ამიტომ ასე ფიქრობდა: „აი გამეზრდება შვილი, ის იქნება კარგი ვაჟკაცი და არა თუ მარტო დამიფარავს მტრებისაგან, პირიქით, თვითონაც დაიპყრობს მეზობელ მეფეებსა და გამიძლიერებს გვარსა და სამეფოსაო“.

ხოლო, რომ შვილი მისი განდეგილად არ წასულიყო, მამამ ისე მოაწყო შვილის აღზრდა და ცხოვრება, რომ მას მარტო მდიდრული და ფუფუნებითი ცხოვრება შეჰყვარებოდა. ამ აზრით ყმაწვილს ზრდიდნენ და ატარებდნენ მარტო უუმშვენიერეს სრა-პალატებსა და ბაღებში და თან ახლდნენ უამრავი მოსამსახურენი, რომელნიც მოვალენი იყვნენ ყოვლის უთქმელად აესრულებინათ ბატონიშვილის ყოველი ბრძანება.

მეფის ძე იშვიათის გონებისა და სილამაზის ყმაწვილად იზრდებოდა. რვა წლისას მას მიუჩინეს მასწავლებლები და დააწყებინეს სწავლა. ბუდდა ბეჯითად სწავლობდა და გარდა ამისა დიდად უყვარდა სადმე კუნჭულში ჯდომა და ბრძენსავით რაზედმე ფიქრი. ერთხელ მამამ ნახა ის ასე დაფიქრებული და არ იამა, რადგანაც იფიქრა: მოგვების სიტყვა არ ასრულდეს და შვილი მართლაც განდეგილად არ წამივიდესო. აიღო და შერთო ცოლად მშვენიერი ასოდარი. მამამ აუშენა შვილსა და რძალსა სამი სასახლე: ერთი ცხელს ზაფხულში გრი-

ლად საცხოვრებლად, მეორე—წვიმიანს დღეებში და მესამეც ქარიან დღეებში საცხოვრებლად. სამივე სასახლე მამამ მოართვევინა იშვიათის საშვენებლებით და გარეშემო ადგილებიც იშვიათის ბაღებით შეამკობინა. აქ გაატარა ბუდდამ მთელი თავისი ახალგაზდობა, ვიდრე ოცდა-ცხრა წლამდის, გარშემორტყმული მასიამოვნებელი ცოლით და უამრავი მოსამსახურეებით.

მაგრამ ოცდა-მეცხრე წელს კი მეფის ძეს უეცრად დიდი ცვლილება დაეტყო: მოსამსახურეებს თუმცა სასტიკათ ჰქონდათ აღკრძალული, რომ ბატონიშვილის ბაღებსა და სრა-პალატებში არავინ შეეშოთ ბებერი და ავათმყოფი, რომ ჭაბუკს არც ბებერი ენახა, არც ავათმყოფი და არც მკვდარი და მით არა სცოდნოდა—რა არის სიკვდილი და მწუხარება,—მაგრამ ერთხელ, როცა ბუდდა შეიქმნა 29 წლისა, იმან გაიყოლა თვისი საყვარელი მსახური ჩანი და გამოვიდა სრა-პალატის ბაღებში სასეირნოთ. აქ ბუდდა უეცრად შეეხეჩა საიდლამაც შემოსულს წელში მოკაკულს საცოდავს მოხუცსა. ბატონიშვილი განცვიფრდა და ჰკითხა ჩანსა: რა ქმნილებაა იგიო“? მსახურმა უპასუხა: „ბებერი კაციაო“?

— ნუთუ ასეთი დაიბადა?

— არა, ჩემო ხელმწიფევ, ის ისეთივე ახალგაზდა და აყვავებული იყო, როგორც შენა.

— მერე, ბევრია მაგისთანა ბებრებიო?

— ბევრი, ჩემო ხელმწიფევ! ასეთია სიცოცხლის კანონი, ყველანი უნდა დავბერდეთ.

— მეც ასეთი ბებერი უნდა გავხდე?

— დიახ, ჩემო ხელმწიფევ, შენც

ბატონიშვილი დაბრუნდა შინ. მას აღარ იამებოდა ბაღში სეირნობა, ის ახლა მარტო მოხუცის ნახვით იყო გართული ღრმა ფიქრებში.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბუდდამ ახლა მუწუკებისაგან შეჭმული კაცი ნახა და კვლავ ჰკითხა თავისს მსახურს: „ჩან! ეს რა არისო“?

აქ ჩანმა უამბო ბატონიშვილს სხვა და სხვა ავათმყოფობათა შესახებ და თან ისიც დაუმატა, თუ რამდენსა წვალობს კაცობრიობა ათასნაირ ავათმყოფობისაგან. ბატონიშვილს თავს ზარი ეცა და კვლავ დაბრუნდა სასახლეში.—ჩვენი სისაღე სიზმარი ყოფილა,—სთქვა თავისთვის ბუდამ.—განა შეიძლება სიხარული და მხიარულება იქ, სადაც ასეთი საშინელი ავათმყოფობანი სჭირებია ქვეყანასა!?

მესამეთ ბუდდამ მიცვალებული ნახა. იგი გზის პირას ეგდო და უკვე გახრწნის სუნი დასცემოდა. შეძრწუნებული ბატონიშვილი კვლავ სასახლეში დაბრუნდა.

— რა მნიშვნელობა აქვს მეფურს ბრწყინვალებასა და განცხრომა-ლხენასა, თუ კი მათ არ შეუძლიანთ დაიფარონ ხალხი სიბერისა, ავათმყოფობისა და სიკვდილისაგან? ოჰ, რა უბედურნი ყოფილან

ადამიანები! ნუთუ არ არის რამე საშუალება, რომ სამუდამოთ მოისპოს ამ ქვეყნად ტანჯვანი და სიკვდილი?—ფიქრობდა თავისთვის ბუდდა.

ამ სამმა სანახაობამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს ბუნებით მგრძნობიარესა და კეთილს ბუდდაზედ, რომ მან გადასწყვიტა სრულიად გამოიცვალოს ცხოვრება. ბატონიშვილმა დაინახა, რომ ქვეყანაზედ ყველაფერი ისე კარგათ არ ყოფილა, როგორც აქამდის აჩვენებდნენ. ამან იგრძნო და გაიგო, თუ როგორი ცვალებადი ყოფილა ბედნიერებაც, სიჭაბუკეც და ლხენაც; ნახა, როგორ ცხოვრობენ ადამიანები და ამიტომ შეეზიზღა მდიდრულად ნაზები სასახლეები და ყველა ის გასართობნი, რომლებითაც აქამომდე ართობდნენ მას. ამას იქით მან დაიწყო ყველას მორიდება, ახლოს ალარავის იკარებდა, სულ მარტოობას ეძებდა, რომ ერთს წუთსაც არავის შეეშალა მისთვის ფიქრი ადამიანის უბედურს სვეზედა, ათას-გვარ სნეულებაზედა და სიკვდილზედა. ბუდდამ მარტო ახლა დაინახა თვალ-ნათლივ, რომ ქვეყანა სავსეა ბოროტებითა და იწყო განუწყვეტელი ფიქრი იმაზედა, თუ როგორ და რით იხსნას კაცობრიობა ამ ბოროტებათა და ტანჯვათაგან.

ამ ფიქრებში იყო ბუდდა გართული, რომ ერთხელ, შემთხვევით, იგი შეჰხვდა განდეგილს. მდიდარი ბატონიშვილი ზრუნვასა და მწუხარებაში იყო და განდეგილი კი თავისს დაფლეთილ ტანისამოსშიაც

სრულიად დამშვიდებული და კმაყოფილი გამოიყურებოდა. ბუდდას გაუკვირდა. მან შეიტყო, რომ განდეგილს თავი დაუნებებია სოფლისათვის, უდაბნოში წასულა და იქ მოუპოვებია მშვიდობა სულისა. ბატონიშვილმა იფიქრა, რომ მარტო ამ გზით შეიძლება მოპოვება სულის მშვიდობისაო და თითონაც გადასწყვიტა განდეგილად წასვლა.

ბუდდამ დაუყოვნებლად გაუზიარა მამას თავისი გადაწყვეტილება. მეფე შეკრთა და დაუწყო შვილს ხვეწნა: „უკუ-აგდე, შვილო ჩემო, ასეთი აზრი, რადგან სხვა მემკვიდრე არ მიძს მეო“. მაგრამ ამაოდ: ბატონიშვილი არ იშლიდა და სულ იმას გაიძახდა—არ შემიძლიან, თუ განდეგილად არ წაველო. ბუდდამ მალეც შეასრულა თავისი სიტყვა: ერთ მშვენიერ ღამეს, როცა ცოლი მისი ტკბილს ძილში იყო, ბუდდა შეჯდა საუკეთესო ცხენზედ, გაიყოლია თან თავისი ერთგული მოსამსახურე ჩანი და გაუდგა გზას, საით, თითონაც არ იცის. იარა, იარა და მივიდა ერთი მდინარის პირას. აქ ბატონიშვილი ჩამოხტა ცხენიდამ, გადასცა იგი განცვიფრებულს მოსამსახურეს და უბრძანა შინ დაბრუნება მეფესთან. თითონ კი წავიდა მახლობელ ქალაქისკენ. გზაზედ ის შეხვდა ერთს გლახას, გაუცვალა თავისი ძვირფასი ტანისამოსი, დაიტოვა მარტო წამოსასხამი, რომელსაც არ იშორებდა მთელს თავის სიცოცხლეში, შევიდა გლახურათ ჩაცმული ქალაქში, მონახა განდეგილ ბრძენთა სა-

დგომი, მივიდა იქ და დარჩა მათთან გოტამს სახელით.

გახდა რა განდეგილად, ბატონიშვილმა ხელი მიჰყო სასტიკ ბერულ ცხოვრებას—მარხულობას, სხეულის გვემას ინდოეთის საშინელ სიცხეში მზეზე დგომით და იმედი ჰქონდა, რომ ამ გზით მოიპოვებდა სულის მშვიდობასა, მიჰხვდებოდა სიცოცხლის მიზანსა... მაგრამ ამაოდ: სხეულის გვემა-წვალებამ ვერა და ვერ მოუპოვეს მას მშვიდობა სულისა.

ბუდდამ დაინახა, რომ მისგან არჩეული გზა შემცდარი იყო და მიეცა ფიქრსა: „მაშ რა ვქნაო“? მიანება თავი განდეგილებს და წავიდა მოგვებთან (მღვდლებთან), რომლებიც განდეგილებსავით თავს არ იწვალებდნენ შიმშილითა და სიცხე-პაპანაქებაში მზეზე დგომითა. მაგრამ ვერც მოგვების გალაღებულმა ცხოვრებამ დააკმაყოფილა და ამიტომ ისინიც მალე მიატოვა. წავიდა და დადგა ერთს უდაბურს ტყეში ურაველა სოფლის ახლოს. ამბავი მის განდეგილობაზედ მალე მოეფინა მთელს იმ მხარეს, მოვიდნენ მასთან ხუთი განდეგილი და სთხოვეს მოწაფეებად მიღება. ბუდდა დასთანხმდა და დაუწყო მათ სწავლა იმაზედ, თუ როგორ უნდა იცხოვრონ ადამიანებმა, რომ მოიპოვონ მშვიდობა სულისა. მაგრამ მისმა სწავლამ ვერ დააკმაყოფილა მოწაფეები და მალე გაშორდნენ. დარჩა ბუდდა კვლავ მარტოკა.

დაჯდა ბუდდა დიდი ხის ქვეშ და მიეცა ფიქ-

რსა. უკუ-აგდო საამქვეყნიო ყოველი ზრახვანი და ბოლოს აკი იპოვა ჭეშმარიტება—პასუხი სიცოცხლისა და ტანჯვათა ზედა, რომელიც მთელს შვიდს წელიწადს მოსვენებას არ აძლევდა მას.

— როდესაც მე ვიხილე ჭეშმარიტება,—უამბობდა იგი შემდეგ თავის მოწაფეებს,—სული ჩემი განშორებული იყო ყოველთა ცოდვათა, ცდომილებათა, უმეცრებათა და საზოგადოთ მიწიერ არსებობასა. როცა მე ვფიქრობდი სიცოცხლის დანიშნულებაზედა, ადამიანთა ტანჯვათა მიზეზებზედა და იმაზედა, თუ როგორ დავიხსნა თავი ტანჯვებისაგან, მე ჯერ კიდევ მიზიდავდნენ საამქვეყნიო ცდომილებანი—განცხრომა, სიმდიდრე, დიდება, მაგრამ, აი, ყველა ეს მე ძირიან-ფესვიანად ამოვაგდე ჩემში და მით გავიმარჯვე კიდეც ბოროტზედა. მაშინ ჩემს სულში დარჩა მარტო ნათელი წარმოდგენა ადამიანის ნამდვილ ცხოვრებ-სიცოცხლეზედა.

ეს იყო და ეს, რომ ბატონიშვილმა უწოდა თავის თავს ბუდდა, რაიცა ნიშნავს ნათელ-მიღებულ ბრძენსა და ამის მერე სხვებიც მუდამ ასე ეძახდნენ განნათლებულს ბატონიშვილსა.

ბუდდას ახლა ახალი დარდი, ახალი კითხვა აეშალა: „მე ვცანი ჭეშმარიტება, ვცანი რომ სიცოცხლე ტანჯვაა და მივხვდი იმასაც, თუ როგორ დავაღწიო ამ ტანჯვებსა. რაღა მრჩება? ადამიანები ცხოვრობენ საქაო ფიქრებითა და საქაო ვნებებითა. მათთვის ძვირათ ღირს საქაო შვებანი და ლხენანი;

ამიტომ ადამიანები თავის დღეში არც დამიჯერებენ, თუ ვეტყვი, რომ ცხონება (ხსნა) არის ყარის ყოფა ყოველთა სურვილთა და მდგომათა! ან ლირს კი, რომ ვეახლოთ მათ და დავუწყოთ ამაზედ ქადაგება? უმჯობესი არ იქნება, რომ თვით შევუდგე უკვე ნაპოვნ საუკუნო მშვიდობასა და მოსვენებასა“?

ბუდდა კვლავ დაფიქრდა და ბოლოს სთქვა: „არა! მე არ მინდა, მარტო მე ვიყო საუკონო მშვიდობასა. მე მეცოდება საწყალი ხალხი, რომელიც მარად ტანჯვაშია და არ იცის, როგორ იხსნას მისგან თავი. მე განვუცხადებ მას ჩემს სწავლასა და მოვიკრებ მოწაფეთა, რომ განაგრძონ ჩემი სწავლა, როცა მე აღარ ვიქნები. მე დავუწყებ ხალხს სწავლებას, თუ როგორ უნდა იხსნან მათ თავი ტანჯვა-წვალებისაგან და ამ გზით გავავრცელებ მოპოვებულს ჭეშმარიტებასა ადამიანების სასიხარულოდ და საბედნიეროდ.

ბუდდა სამ კვირას კიდევ დარჩა ტყეში სრულს ნეტარებასა და მშვიდობაში—ნირვანაში. აქ ახლა იგი იმაზედ-ღა ფიქრობდა, თუ საიდამ და როგორ დავუწყო 'წავლა ხალხსაო და ბოლოს სთქვა. „ბჭენი ხსნისა დაე განცხადდეს სუყველასთვის! ადამიანებო! განახვენით ყურნი თქვენნი და მისმინეთ მე!“.

II.

ამის შემდეგ იგი წავიდა ინდოეთის უდიდეს ქალაქ ბენარესში და მივიდა იმ ხუთ განდეგილთან, რომელთაც მიატოვეს იგი. როცა ყოფილმა შეგირდებმა დაინახეს მათკენ მიმავალი მასწავლებელი, ერთმანერთს წაჰჩურჩულეს: „აგერ მოდის გოტამა; იმან კმაყოფილი ცხოვრება არჩია თვით-გვემასა; ის ღირსი არ არის ჩვენის პატივის-ცემისა, ამიტომ ნუ ავდგებით მის წინაშე და ნურც წამოსასხამს ჩამოვართმევთო. აი ადგილი, თუ უნდა მოვიდეს და დაჯდეს ჩვენ შორისო“... მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეასრულა ნათქვამი. მიუახლოვდა მათ ბუდდა თუ არა, ყველანი უნებლიეთ ფეხზედ წამოდგნენ, მიეგებნენ ნათელ-ღებულს, ჩამოართვეს წამოსასხამი და მიიწვიეს დასაჯდომად. ბუდდა დაჯდა და მიმართა მათ: „განდეგილნო! განახვენით ყურნი თქვენნი! გზა ხსნისა ნაპოვნია; მე გიმოძღვრებთ თქვენ და თუ ჩემის სწავლის თანახმად იცხოვრებთ, სულ მცირე ხნის შემდეგ მიიღებთ იმას, რის გულისათვისაც კეთილშობილნი ჭაბუკნი სტოვებენ სამშობლოსა და მიდიან უცხო ქვეყნებში განსანათლებლად. თქვენ აქვე, სააქაო ცხოვრებაშივე, შეიგნებთ ჭეშმარიტებასა და პირის-პირ იხილავთ მას“.

გაოცდნენ განდეგილები და ჰკითხეს: „რით გინდა მიაღწიო სისრულესა, როცა შენ უარ-ჰყავ

თვით-გვემა და დაემყარე სიამოვნებასა და კეთილ-ცხოვრებასა?“ ბუდდამ უპასუხა: „ეჰ, ბერებო! არის ორ-გვარი უკიდურესობა, რომელსაც უნდა ერიდოს ყოველი კაცი, შემდგარი სულიერსა ცხოვრებასა“.

— რომლებია ეგ უკიდურესობანი?

— ერთი არის: განცხრომისა და ვნებათა დაკმაყოფილების ცხოვრება,—იგი ყოვლად ამაო და არა კეთილშობილურია; მეორე—თვით-გვემითი ცხოვრებაა, იგიც ყოვლად უმნიშვნელოა.

სრული ადამიანი მარად შორს არის ამ ორივე უკიდურესობისაგან, იგი არჩევს შუა გზას...

— რა გზაა ეგ გზა?—ჰკითხეს ბუდდას განდეგილებმა.

— ეს არის გზა მშვიდობისა, შეგნებისა და განნათლებისა. ესენი შეიყვანენ კაცს ცხონებაში, ე. ი. დაიხსნიან მას სააქაო ტანჯვა-წვალებათაგან. ტანჯვა-წვალებანი წარმოსდგება განცხრომა-სიამოვნებათა და სხვებზედ ბატონობის ნდომისაგან; ამოიკვეთეთ თქვენში ეს ნდომანი და ტანჯვანიც თვალთა დახამხამების უმალ განქრებიან. რა წამსაც გარკვევით შევიგნე ეს ჭეშმარიტება, მე იმავ წამს მივაღწიე ბუდდას,—ე. ი. განათლებულის ბრძენის უმაღლეს მდგომარეობას...

ყოფილი შეგირდები ცრემლით თვალებში შეჰხაროდნენ დიდს მოძღვარსა და, რა გაათავა ბუდდამ სიტყვა, უთხრეს: „მიგვიღე მოწაფეებად და

კვლავაც განგვიცხადე შენი მოძღვრება". ბუდდამ უპასუხა: „იცხოვრეთ წმიდათ, რათა ბოლო მოუღოთ თქვენში ყოველ-გვარ ტანჯვათა"...

ამის მერე ბუდდამ გაიყოლა ხუთნივე და შეუდგა ქადაგებას.

ხალხი ყველგან დიდის აღტაცებით უსმენდა ბუდდას და გულს იმარხავდა მის წმიდა მოძღვრებასა ტანჯვათა ამოკვეთაზედა თავისში და შეწყალება-სიყვარულზედა ურთიერთთადმი. მალე შეგირდობა ძლიერ გაუმრავლდა ბუდდას. მათში მას ყველაზედ მეტათ უყვარდა ერთი, ანანდა, რადგანაც ამას ყველაზედ კარგად ესმოდა ბუდდას მოძღვრების უმთავრესი აზრი.

ერთხელ ანანდა მივიდა ჭასთან და სთხოვა წყალი დედაკაცსა, რომელსაც ის იმ დროს იღებდა ჭიდამ. დედაკაცს გაუკვირდა და უთხრა: „მე, ბატონო, მონის შვილი ვარ"! ანანდამ უპასუხა: „მე არ გკითხავ, ვინ ხარ შენ; მე წყალი მწყურია და გთხოვ დამალევინოვო".

ერთმა მეფემ დაჰპატიჟა ბუდდა: „მოდი აჩვენე ჩემს მოგვებს წასწაულებიო"! ბუდდამ შეუთვალა: „მე არ ვეუბნები ჩემს მოწაფეებს: წადით და მოიმოქმედეთ სასწაულები, რათა მით გააწბილოთ მოგვნი. პირიქით, მე ვავალებ მათ: ისე მოიქეცით, რომ დაფარული იყოს თქვენი ყოველი კეთილი, ხოლო სისუსტენი თქვენი კი მარად ყველასთვის დასანახი იყოსო".

30

ხალხს დიდათ მოსწონდა ბუდდას მოძღვრება და ამიტომ ბევრნი სამუდამოთ სტოვებდნენ სახლსა და მიდიოდნენ მასთან მოწაფეებად. ასე შეუგროვდა მას 60 მოწაფე, ქალი თუ კაცი, მდიდარი თუ ღარიბი, არია თუ სუდრა, მოგვი თუ ვაჭარი; ყველას ასწავლა ძმობა, ყველას ჩაუნერგა გულში, რომ ყველა ადამიანები ერთნი არიან, რომ ბატონობა და მონობა აღარ უნდა იყოსო. ერთხელ ბუდდამ უთხრა მათ: „წარვედით, უქადაგეთ და ასწავლეთ ყველას, როგორ იხსნან თავი ტანჯვათაგან, როგორ მიაღწიონ ბედნიერებასა, ლხენასა, სულის მშვიდობასა“.

მოწაფეები წავიდნენ. ბუდდა კი დაბრუნდა თავის ტყეში და დადგა იქ. ხალხი კვლავ ათასობით მიდიოდა მასთან და იღებდა მისგან მოძღვრებას. ბევრი სამუდამოთ რჩებოდა მასთან და ამ გვარად ბუდდას კვლავ მოუმრავლდა შეგირდობა.

ბუდდას დიდების ამბავმა მიაღწია მის სამშობლომდინაც. ბუდდა გაემართა იქითკენ, მაგრამ ქალაქში კი არ შევიდა და დადგა ქალაქს გარეთ ტყეში. მამა, დიდებულნი და უამრავი ხალხი მიეგება ბუდდას აქ, მაგრამ მეფემ და დიდებულებმა დაინახეს თუ არა, რომ ბატონიშვილი უბრალო ტანისამოსშია, უკან გაბრუნდნენ. მეორე დღეს ბუდდამ აიღო ხელში ჯამი და შევიდა ქალაქში მოწყალების სათხოვნელად. როცა მეფემ შეიტყო შვილის ასეთი ქცევა, გამოეშურა მასთან და უთხრა:

„შვილო ჩემო, რათ შვრები მაგას? რათ მარცხვენ მეო?“

ბუდდამ უპასუხა. „ასეთი წესი აქვთ იმათ, რომელთაც ვეკუთვნი მე და მეც ისე ვიქცევიო“.

მამამ შეჰკივლა: „შენ ეკუთვნი მეფის გვარს, ჩვენს წინაპრებში კი მაგრე არავის დაუმცირებია თავი“.

ბუდდამ გაიღიმა და უპასუხა: „მე მისთანებს არ ვეკუთვნი; ჩემი წინაპრები ისეთივე ბუდდები იყვნენ, როგორც მე და ისინიც იმას აკეთებდნენ, რასაც მეო“.

ბუდდამ ამით ის უთხრა მამას, რომ უწინაც ბევრი იყო ბრძენი ადამიანები, რომლებიც ისევე იქცეოდნენ, როგორც მეო.

მეფე სუდოდანი მიჰხვდა, რაც უთხრა შვილმა, მოსჭიდა ხელი და წაიყვანა სასახლეში, სადაც ბუდდამ ნახა თავისი მშვენიერი იასოდარიცა. როცა იასოდარმა დაინახა ქმარი განდეგილის ტანისამოსში, ხმა-ამოუღებლათ დაუვარდა ფეხებ ქვეშ და მწარეთ იტირა. ბუდდამ ააყენა ის და ტკბილათ უქადაგა ქვეყნის დახსნაზე ტანჯვათაგან. მისმა სიტყვებმა პოხიერი ნიადაგი ჰპოვეს იასოდარის გულში.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბუდდა გამოეთხოვა მამას, ცოლს, სახლს და კვლავ გაუდგა გზას. რვა თვეს წელიწადში ბუდდა დადიოდა სოფლიდამ სოფლად, ქალაქიდამ ქალაქად და ყველგან ასწავ-

ლიდა ხალხს ტანჯვათაგან თავის დახსნასა; ხოლო ოთხ თვეს, როცა ინდოეთში იწყობოდა წვიმიანობა, ის ცხოვრებდა რომელიმე თავის მეგობართან. მეფეები და მდიდრები სიამოვნებით იწვევდნენ ბუდდას თავისთან საცხოვრებლად და ბედნიერად სთვლიდნენ თავს, როცა ბუდდა დაბინავდებოდა მათთან. მარტო წვიმების მიზეზით არ იქცეოდა ბუდდა ასე: ამ დროს ინდოეთში ახლდება ბუნება, ამოდის მცენარე, ჩნდება მწერი, ნადირი. ბუდდა და მისი მოწაფენი ერიდებოდნენ ასეთ დროს სიარულსა, რომ ტყუილ-უბრალოთ არ გაეთელათ მცენარე, არ გაეჭყლიტათ ღვთის რომელიმე ქმნილება...

ბუდდას მოწაფეები ცხოვრობდნენ, როგორც ძმები. მაგრამ ერთად ესენი მარტო წვიმების ხანში ცხოვრობდნენ; დანარჩენ დროს კი დადიოდნენ სოფლიდამ სოფელს და ქალაქიდამ ქალაქს და ასწავლიდნენ ხალხს წმიდათ ცხოვრებას. მოწაფენი ისე ექცეოდნენ ერთმანეთს, როგორც ამხანაგები; მათ შორის არც ერთი არ იყო უფროსი; ვინც წმიდათ ცხოვრებდა, ვისაც უკეთ ესმოდა ბუდდას მოძღვრება და იცოდა მისი განმარტება, იმას სცემდნენ მომეტებულს პატივსა, ეს იყო და ეს. მოწაფე სამუდამოთ როდი შედიოდა ძმობაში: ყველას შეეძლო თუნდა მეორე დღესვე დაენებებინა თავი ძმობისათვის, დამშლელი არავინ იყო. ბუდდა იტყოდა ხოლმე: „უმჯობესია გულ-ახდილათ უარი

სთქვა განდეგილობაზედ, მინამ დარჩე ძმობაში და მით ცოდო ქმნა. ვინც იტყვის: ვერ დამივიწყნია მამა, დედა, ძმა, და, ცოლი, მხიარული ცხოვრება, უმჯობესია კვლავ დაბრუნდეს შინ და ისე იცხოვროს, როგორც თვითონა ჰსურს; ეს არავის არ უნდა ეწყინოს და შემდეგ, როცა უნდა, კვლავაც შეუძლიან დაბრუნდეს ძმობაში. ძმობის წევრნი ცხოვრობდნენ ღარიბულად, ყოველს მათგანს ჰქონდა მხოლოდ პატარა თასი მოწყალების მისაღებად და მწირი ტანსაცმელი ყვითელის ფერისა, რადგანაც თვით ბუდდა ატარებდა ყვითელ ტანისამოსსა. მეფეები და მდიდრები ხშირად აჩუქებდნენ ბუდდას ძმობას სახლებსა, მიწებსა, ბაღებსა, ტყეებსა. ყველა ეს შეადგენდა მთელი ძმობის კუთვნილებას, ყოველი წევრი სარგებლობდა ამ ქონებით სანამ ის იქ იქნებოდა და როცა წავიდოდა იქიდამ, ქონებით ახლა სრულიად სხვაგნიდამ მოსული წევრი სარგებლობდა. ძმობის წევრთა ცხოვრება მიმდინარეობდა მუშაობასა, ფიქრსა და საუბრებში დაბასოფლებიდამ და ქალაქებიდამ მოსულ ხალხთან.

„როცა ბუდდა შესრულდა 80 წლისა, მან იგრძნო სიკვდილის მოახლოვება და უთხრა თავის საყვარელს მოწაფეს: „ანანდ! მე მოვხუცდი, ჩემი დღენი დათვლილია“... ანანდა შეწუხდა. ბუდდამ განაგრძო: „რას დაღონდი, ყოველი დაბადებული უნდა მოკვდეს, საუკუნო არაფერია, ყველაფერი ცვალებადია“. მერე მიუბრუნდა დანარჩენ მოწაფე-

ებს და უთხრა: „მე გამცნიეთ თქვენ ჭეშმარიტება, მისით სცოცხლობდეთ ყოველ დღე, ყოველ ჟამს; როცა მე აღარ ვიქნები, იქადაგეთ იგი ყველგან მთელი დედამიწის ზურგზედ, რათა მოძღვრება ჩემი არსებობდეს დიდხანს. ვინც ბოლომდის შერჩება ჩემს მოძღვრებას, იგი მშვიდობიანად გასცურავს ცხოვრების ზღვას და მიაღწევს იმ დიდს მიზანს, სადაც თავდება ყოველი ტანჯვა. მალე მე აღარ ვიქნები, მაგრამ არა სთქვათ, რომ აი დადუმდა ბაგენი ჩვენის მასწავლებლისა, აღარა გვყავს მოძღვარი და დამრიგებელიო: არა, ძმანო! დღეიდან თქვენი მოძღვარი და დამრიგებელი უნდა იყოს ის სწავლა ცხოვრება-სიცოცხლეზედ, რომელიც მე თქვენ განგიცხადეთ. გახსოვდეთ და არ დაივიწყოთ, რომ თქვენი ყოველი ცდა უმთავრესად იმაზედ უნდა იყოს მიმართული, რომ შეუმციროთ და შეუმსუბუქოთ ხალს ტანჯვა-წვალებანი და ეს კი ყველაზედ უკეთ საკუთარი თავის სრულ-ყოფით და ვნებათა შეკავებით შეიძლება. გახსოვდეთ, რომ ყველა ადამიანები ერთნი არიან, ყველანი ერთნაირათ ჩნდებიან და ერთნაირათვე იხოცებიან და ამიტომ არც მონობა უნდა იყოს და არც ბატონობა, ყველანი ძმურად უნდა ცდილობდნენ ადამიანთა ტანჯვა-წვალებათა მოსპობასა ამ ქვეყნათ“...

ეს იყო უკანასკნელი სიტყვები ბუდდასი. იგი მოიცვა დუმილმა და ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც.

III.

როგორც ვსთქვით, ბუდდა მდიდარი მეფის შვილი იყო და, მაშასადამე, კმაყოფილი ცხოვრებაც ჰქონდა, მაგრამ, ხედავდა რა უსამართლობას თავის უზრუნველ ცხოვრებაში, მან შეიძულა იგი და მიატოვა კიდეც.* მას ბუნებითვე თანდაყოლილი ჰქონდა ჩვეულება—ფიქრი ცხოვრებაზედ. მას ეგონა, რომ ცხოვრებაში მარტო ტანჯვებია გამეფებული, დიდათ სწუხდა ამაზედ და ეძებდა საშუალებას მათ შემცირებასა და მოსპობაზედ.

იმის დროს ინდუსები დაყოფილნი იყვნენ წოდებებად, ერთნი რომ უფლებებით და სიმდიდრით იყვნენ მოჭარბებულნი, მეორენი მონებად იყვნენ გადაქცეულნი და პირუტყვებზედ უარესი ცხოვრება ჰქონდათ, რისგამოც დიდათ სძულლდათ ერთმანერთი. კეთილს ბატონიშვილს კი არავინ არ სძულდა, რადგან ყველა ენანებოდა, ყველასთვის ერთგვარათ სწუხდა. ის ერთნაირათ სწუხდა მდიდრებისთვინაც ღ ღარიბებისთვინაც, ბატონებისთვინაც და მონებისთვინაც, რადგანაც ორივენი სიმართლეს იყვნენ მოკლებულნი და ერთნაირათაც იტანჯებოდნენ სულითა და ხორცით, მდიდრები—სულის სიმწირით და ხორცის შვებით, ხოლო ღარიბნი—ორივეს სიმწირით.

ინდოელების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა გამოჩნდა ბუდდა თავისი მოძღვრებით. მათ

პირველათ ესმათ, რომ ადამიანები ყველანი თანასწორნი არიან, რომ ყველა უნდა გვებრალებოდეს, არა თუ მარტო ადამიანები, არამედ ცხოველებიც და მცენარეებიც კი. გაპირუტყვებულ მონებს, სუდრებს, დიდათ იამათ ბუდდას ასეთი ქადაგება და ესენიც ათასობით და ათიათასობით მოდიოდნენ მასთან ინდოეთის ყოველი მხრიდამ მოსასმენად მის ქადაგებისა. მაგრამ არც სხვები ჩამორჩნენ ამათ. გამოჩნდა, რომ არც მეფეები, დიდებულნი, მხედარნი, ვაჭარნი და მხვნელ-მთესველნი ყოფილან სავსებით ბედნიერნი, რომ ამათაც ბევრი ჰკლებიათ სრულ ბედნიერებამდის. ამიტომ ამათაც იწყეს ბუდდასთან მოსვლა, რომ მოესმინათ მისი სიბრძნე ადამიანის სიცოცხლის სისრულეზე, ბედნიერებაზე და ტანჯვათა ამოგდებაზედ ამ ქვეყნად. ზოგიერთი მეფეები ისე გაიტაცა ბუდდას მოძღვრებამ, რომ მათ მიატოვეს სამეფოები და გავიდნენ ტყეებში, რომ ტყეთა დუმილში უფრო ადვილათ მისცემოდნენ ფიქრსა ადამიანთა ცხოვრება-სიცოცხლეზედა. ბუდდასთან მოდიოდნენ მოგვები და განდეგილებიც. ესენი თანახმა უხდებოდნენ ბუდდას, რომ შეუძლებელია კაცმა მოიპოვოს სულის მშვიდობა თვით-გვემითა და შიმშილით. ამათ ირწმუნეს, რომ სრულიად საჭირო არ არის სხეულის თვით-ტანჯვანი, საჭიროა მხოლოდ ყველას უცქირო, როგორც თავის ძმებსა და მეტი იზრუნო საყოველთაო ბედნიერება-სიყვარულზედა. ახლად მოსულებს

ბუდდა ყველას ამ სიტყვებით უხვდებოდა: „მოვედინ, ჭეშმარიტება განცხადებულია: იცხოვრეთ წმიდათ, რათა მოვსპოთ ტანჯვანი ქვეყნათ“.

ბუდდას მოძღვრება და სწავლა ვრცელდებოდა ინდოეთში ოთხასი წელიწადი. 259 წელს ქრისტეს შობამდე ინდოეთში გამეფდა ასოკა დიდი. ეს იყო ფრიად ბრძენი და მართალი მეფე. იმას ძლიერ უყვარდა ბუდდას მოძღვრება და თუმცა თითონ არ დაუნებებია თავი მეფობისათვის, მაგრამ მუდამ ცდილობდა ეცხოვრა ბუდდას მოძღვრების თანახმად და სხვასაც აქეზებდა ამაზედ. ამ მეფემ ამოჭრევინა ბუდდას მოძღვრებანი დიდროან ქვებზედ, რომლებიც ახლაც შეიძლება ნახოთ ინდოეთში. ამავე მეფის დროს ჩასწერეს წიგნებში ყველაფერი, რასაც ასწავლიდა ბუდდა. აი რა სწერია ამ წიგნებში:

* „ადამიანები ცხოვრობენ ცოდვათა და შეცდომათა შორის. ცხოვრებაში ყველაფერს დასაბამი და დასასრული აქვს, ყველაფერი ცვალებადია. ცხოვრება-სიცოცხლე ტანჯვაა. ჩვენ მარტო მაშინ დავაღწევთ თავს ამ ტანჯვებსა, როცა ხელს მივყოფთ წმიდა ცხოვრებასა.

— რისგან არის, რომ ქვეყნად ამდენი ტანჯვა ბ მწუხარებაა? ჩვენი სურვილისაგან ვიცოცხლოთ და ვიყვნეთ ბედნიერნი. როგორ ვიხსნათ თავი წვალებისაგან? ამისთვის საჭიროა, რომ ადამიანებმა დაიმორჩილონ ეს სურვილები ბედნიერება-სიამოვნე-

ბაზედ, უნდა სრულიად განთავისუფლდნენ ყოველ ამ გვარ ნდომა-სურვილებისაგან. თქმა არ უნდა, რომ ფრიად ძნელია განთავისუფლება ყოველ ამ გვარ ნდომა-სურვილებისაგან და აი ბუდდა რა გზას გვასწავლის ამისათვის: არის რვა ბილიკი, რომლებითაც ყოველ ადამიანს შეუძლიან მიაღწიოს სრულს მშვიდობასა:

1. წმიდა რწმენა.
2. წმიდა ნება.
3. წმიდა სიტყვა.
4. წმიდა საქმე.
5. წმიდა ცხოვრება.
6. წმიდა მისწრაფებანი.
7. წმიდა აზრი და ფიქრები.
8. წმიდა ჩახედვა თავის თავსა და დუმილებში.

უნდა ერიდოთო: ქვენა და ბიწიერ ნდომათა, ამაოდ წვალებასა თავის სხეულისა. მხოლოდ ჭეშმარიტებას შეუძლიან მიგვიყვანოს ჩვენ მშვიდობისა, სიბრძნისა და ნათელის ბჭესთანაო. ცოდვათა შესახებ ბუდდა ამბობს: ვინც მოქმედებს ბოროტად ანუ ლაპარაკობს ბოროტსა, იმას თავის დღეში არ შეუძლიან იყოს ბედნიერი, ნეტარება თანა სდევს მარტო იმათ, ვინც კეთილათ იქცევა და სიტყვა-ფიქრიც მარად წმიდა აქვს. ჩემმა ყოველმა მიმდევარმა უნდა უთუოთ შეასრულოს შემდეგი ხუთი მცნება, თუ უნდა მიაღწიოს ტანჯვათა ამოკვეთას თავისშიო:

პირველი. არ მოკლათ არც ერთი კაცი, არც ერთი ცხოველი, არც ერთი ცოცხალი ქმნილება*).

მეორე. არ მოიპაროთ.

მესამე. ერიდეთ გარყვნილებასა.

მეოთხე. ტყული არ ილაპარაკოთ, არავინ მოატყუოთ, ტყუილათ არავის დასწამოთ.

მეხუთე. არ ილოთოთ.

ვინც შეასრულებს ამ მცნებებს, ის მუდამ პატივის-ცემაში იქნება ყველასგან და სააქაო ტანჯვა-მწუხარებანიც სრულიად ვერ მიეკარებიან მას; სვინიდისი მას მარად წმიდა ექნება და მარადვე მშვიდობასა და თანხმობაში იცხოვრებს მეზობლებთან. რისხვა დაიმორჩილე სიმშვიდით, ბოროტება —სიკეთით, ძუნწი—საჩუქრებით, ცრუ—სიმართლით. თუ ჩვენ მარად იმის ხსენებაში ვიქნებით, რომ იმან გამლანძღა, იმან მცემა, გამცარცვა, შემაწუხა,—ჩვენ თავის დღეში ვერ დავშშვიდდებით, რადგანც უსიამოვნება უსიამოვნებითვე არც არასოდეს დაწყნარებულა და არც დაწყნარდება, იგი წყნარდება მხოლოდ სიმშვიდით, ასეთია წესი უკუნეთაო.

ბუდდა სასტიკათ უკრძალავს თავის მიმდევრებს შურისძიებას. იგი გვირჩევს მოვეპყრათ ჩვენს მტრებს მარად და მარად კეთილათ. კეთილათ მოეპყარით

*) ამიტომ არის, რომ ბუდდისტები ხორცეულს არა სჭამენ, პირუტყვსა და ფრინველს არა ჰკლავენ, ნადირს არ სდევნიან და არ ჰხოცვენ.

აგრეთვეო ყოველს ცხოველსა, ფრინველსა, მწერსა, ჭიასა, ყვავილსა, ბალახსა. ბუდდას მოძღვრება შეწყალების შესახებ იქამდის მიდიოდა, რომ მან აუკრძალა თავის მიმდევრებს აბრეშუმის ტანსაცმელის ხმარება, რათა ამით მოესპო აბრეშუმის ჭიის მოშენება და მერე ხოცვა მათი. ეცადეთ, რომ მარად წმიდა ფიქრები და ნდომანი გქონდეთო; ადამიანის ყოველი ქცევა დამოკიდებულია მის ნდომებზედ; თუ კაცს წმიდა ნდომა აქვს, ქცევაც კარგი ექნებაო. ჩვენი ქცევა პირდაპირ გვეუბნება, რა აზრებიცა და სურვილებიც გვქონია ჩვენაო. მაშ ეგრე: არა მარტო ჩვენი ქცევა უნდა იყოს წმიდა, არამედ ფიქრები და სიტყვებიცაო. მარტო წმიდა ცხოვრებას შეუძლიან მისცეს სულს ის, რასაც იგი ეძებსო, ე. ი. მშვიდობაზ. ბუდდას სწამს, რომ შესაძლოა ტანჯვათა მოსპობა, თუ ვიცხოვრებთ წმიდა ცხოვრებითა. ასეთ წმიდა ეზოვს, რომ ადამიანის სული ადარ იტანჯვის, ბუდდა უწოდებს ნირვანას.* ნირვანა არის სრულიად დაღწევა ყოველგვარ საქაო ტანჯვათა და სურვილთაგან. ადამიანის სული მოიპოვებს მშვიდობასა მარტო ნირვანაშიო, ხოლო ეს უკანასკნელი კი მარტო წმიდა ცხოვრებით მოიპოვებაო.—„ვინც მარად ებრძვის ცოდვებსა, ადვილათ მიაღწევს ნირვანას“,—სწერია ერთს ინდოეთურს წიგნში,—ეს არის უმაღლესი ნეტარებაო. ნირვანავეა ჩვენი დასასრულიო.

IV.

ბუდდას მოძღვრება და სწავლა გავრცელდა მთელს აზიაში და არსებობს ჩვენ დროამდის. ამ ჟამად მის მოძღვრებას აღიარებს ოთხასი (400) მილიონი ხალხი: ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში, ციმბირში და ინდოეთისა და დიდი ოკეანების კუნძულებზედ. ბუდდას მიმდევრებს ეწოდება ბუდდისტები, ხოლო მოძღვრებას—ბუდდიზმი. თავისი პირვანდელი წმინდა სახით ბუდდიზმი შენახულია უფრო ინდოეთში და მის კუნძულებზედ, განსაკუთრებით ცეილონზედ, სადაც დიდის სასოებით და ზედ-მიწევნით ასრულებენ ნათელ-დებულის ბუდდას ყოველ სწავლა-მოძღვრებასა.* აქ ბუდდას სთვლიან უდიდეს ბრძენად, რომელმაც უჩვენა კაცობრიობას უდიდესი საშუალება კაცურ კაცად გახდომისათვის. ბუდდისტები დღემდის მტკიცეთ მისდევენ ბუდდას იმ სწავლას, რომ ყველა ადამიანები ძმები არიან და ამიტომაც ბულ-კეთილად და პატივისცემით ეპყრობიან ყოველს უცხოელს.

სავსებით შენახულია ბუდდას დიდი მოძღვრება აგრეთვე იაპონიაში. ბუდდას მოძღვრების წიგნები იაპონიაში პირველათ შემოიტანეს მეცნიერებმა. აქ ბევრს მოეწონა ბუდდას მოძღვრება, დაიწყეს მისი შესწავლა და ხალხშიაც გავრცელეს. იაპონელები ამბობენ: ბუდდას სწავლა ამშვიდებს მოუსვენრებს და განანათლებს ადამიანის სულსაო.

თუ ადამიანი ღრმათ არ ჩაუფიქრდება და სავსებით არ შეიგნებს ბუდდას მოძღვრებას, ის ვერ შეუერთდება იმ ღვთიურს სულსა, რომელიც ცხოვრებს ყოველს ადამიანშიო. ყოველი ადამიანი მარად უნდა ფიქრობდეს თავის ცხოვრებასა და ყოფა-ქცევაზედ, მარად უნდა ცდილობდეს მედგრად დაიცვას თავისი ფიქრები და გრძნობანი ბოროტებისაგან. აი გასაღებიო, შემყვანი ბუდდას მოძღვრებაში! ვინც ეძებს კავშირს თავის ღვთიურ სულთან, მას შეიძლება ეწოდოს ბუდდას მოწაფეო, ხოხო ვინც არაფერს ფიქრობს ამაზედა, იგი უმეცარიაო...

ბუდდას სწავლას აქვს ერთი მიზანი: განფანტოს ბნელი, განაგდოს უმეცრება, ნათელ ჰყოს ადამიანი. ბუდდას წიგნები ასწავლიან კაცს, თუ როგორ მიაღწევს ადამიანი ამ ნათელს. წიგნის შემსწავლელმა უნდა შეიგნოს არა პირდაპირი აზრი ნაწერისა, არამედ თვით დედა-აზრი და სული მოძღვრებისაო. ამიტომ ნამდვილი მოწაფე ბუდდასი სწავლობს არა მარტო ბუდდას სიტყვებსა, არამედ უფრო მის ცხოვრებასა და ყოფა-ქცევასა. ჭეშმარიტი მოწაფეობა იმაში მდგომარეობსო, რომ სავსებით შეიგნო შინაგანი აზრი მოძღვრებისა და იმისდაკვალადაც იცხოვროვო... ასე უხსნიან და ასწავლიან ხალხს ბუდდას მოძღვრებას იაპონელი მეცნიერები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იაპონელებში სავსებითაა დაცული და განხორციელე-

ბული ბუდდას მოძღვრება მის პირვანდელი სახით.

ბუდდა ასწავლიდა, რომ ტაძრები საჭირო არ არისო და მოგვთა ღვთის-მსახურებაც მეტიაო. ამიტომ ინდოეთის ბუდდისტები სრულიად არ აშენებენ ტაძრებსა და არც ღვთის-მსახურებას ასრულებენ.

მეცნიერები უწოდებენ ბუდდას აზიის ნათელს, რადგანაც მან პირველმა ნათელ ჰყო აზიის ერნი ძმობისა, თანასწორობისა და მშვიდად-მყოფობის სიყვარულითა. ეძახიან აგრეთვე საკია-მუნს, რაიცა ნიშნავს—განდეგილი საკიების გვარიდამ, მაგრამ ყველაზე ხშირად მას უფრო ბუდდად და განნათლებულად უწოდებენ.

ბევრი ბრძენი და მოაზრე მოჰვლენია კაცობრიობას თვისს ხანგრძლივ ცხოვრებაში, მაგრამ განნათლებული ბუდდა მათ შორის უდიდესია...

ივანე როსტომაშვილი.